ხელშეკრულება №18

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

სოფელი ფერია 28 მარტი 2014 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ს [1]" პუნქტის საფუძველზე ერთის მხრივ ხევაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლის (საიდენტიფიკაციო N 248386697) წარმოდგენილი სკოლის დირექტორის მ/შ ლეილა დუმბაძის სახით - (შემდგომში „შემსყიდველი"), ხოლო მეორეს მხრივ, ფ/პ-ოთარ ქართველიშვილი(პირადი ნომერი 61006026219) სახით (შემდგომში „შემსრულებელი)", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად მიმწოდებლის მიერ საარქივო მომსახურების შესყიდვა.

1.2. საარქივო მომსახურეობა (CPV კოდი:92500000) ღირებულება შეადგენს 200 ლარს.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 200(ორასი) ლარს.

2.2. ერთი ცალი საქმის აკინძვისა და შეკერვის ღირებულება შეადგენს 5 (ხუთი) ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10(ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სკოლის დირექტორი - ლეილა დუმბაძე.

4.2. მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების გაწევის ადგილია: სოფელი ფერია.

5.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2014 წლის 28 მარტიდან 2014 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.

6.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2014 წლის 28 მარტიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმომწერები:

„შემსყიდველი"

სსიპ სოფ. ფერიის სკოლა
ტელ: 5-32-23, 877-30-42-40
მის: დ. ხელვაჩაური, სოფ.ფერია.
საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. „ვითიბი ბანკი ჯორჯიას " ბათუმის ფილიალი,
ს.კ. 248386697
ბ.კ. UGEBGE22
ა/ა №GE15VT5500000000943408

დირექტორის მ/შ ლეილა დუმბაძე

მიმწოდებელი:
ფ/პ ,,ოთარ ქართველიშვილი''
ტელ.599135661
მის: ხელვაჩაური,სოფელი კაპანდიები.
პირადი ნომერი 61006026219
ს.ს ,,საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/აGE40BG0000000364170100

ოთარ ქართველიშვილიი

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

სოფელი ფერია

28 მარტი 2014 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად ჩვენ ხელის მოწერით ვადასტურებთ,რომ ჩვენი მონაწილეობა სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლიხა და ფ/პ,,ოთარ ქართველიშვილ˜-ს შორის გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №18(28/03/2014 წ.) ხელშეკრულებით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტის შესყიდვის განხორციელებაში (გამარტივებული შესყიდვა) არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის

სოფელ ფერიის საჯარო სკოლის

დირექტორის მ/მ /ლ. დუმბაძე/

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის

სოფელ ფერიის საჯარო სკოლის

კოორდინატორი /მ. ცისკარაძე/

მიღება-ჩაბარების აქტი

სოფ. ფერია 31 მარტი 2014 წელი

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი ერთი მხრივ, სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ: ლეილა დუმბაძის სახით, შემდგომში წოდებული „დამკვეთად" და მეორე მხრივ ფ/პ „ოთარ ქართველიშვილი" შემდგომში წოდებული „შემსრულებლად" ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ რომ 2014 წლის 28 მარტის №18 ხელშეკრულების საფუძველზე შემსრულებელმა ჩააბარა აკინძული და შეკერილი საბუღალტრო დოკუმენტაცია 10(ათი) ცალი 10*5=50(ორმოცდაათი) ლარის.

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელისმოწერით

მიიღო:

სოფ. ფერიის საჯარო სკოლის

დირექტორის მ/შ: / ლ.დუმბაძე/

ჩააბარა:

ფ/პ /ო.ქართველიშვილი/